ქარგები (შაბლონები) წერისთვის

მოსწავლეები ავსებენ მასწავლებლის მიერ მიწოდებულ ქარგებს.



კლასი: IV-VI

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური.

რესურსი: სამუშაო ფურცელი ქარგით.

მსვლელობა

- მასწავლებელი, იმის მიხედვით, თუ რისკენ სურს მიმართოს მოსწავლის აზროვნება წერის პროცესში, წინასწარ შეარჩევს (ან შექმნის) ქარგას.
- მოსწავლეებს ურიგებს ქარგას და აძლევს გარკვეულ დროს მის შესავსებად.
- მოსწავლეები განსაზღვრულ დროში ავსებენ ქარგას.
- დროის გასვლის შემდეგ ისინი წარადგენენ თავიანთ ნამუშევრებს კლასის წინაშე.

ქარგების ნიმუშები

1. პრობლემა და მისი გადაჭრა

ნაწარმოების პერსონაჟს აქვს პრობლემა. პრობლემა ისაა, რომ _____ . აღნიშნული პრობლემის მიზეზი გახდა _____ . მიუხედავად ამისა, პრობლემა მოგვარდა (ან შეიძლება მოგვარდეს). მის გადასაჭრელად საჭირო იყო (ან საჭირო იქნება) _____ . პრობლემის ასეთი გადაჭრა, ჩემი აზრით, _____ .

2. შედარება (მსგავსებები და განსხვავებები)

_____-სა და _____-ს შორის რამდენიმე მსგავსებაა. ისინი ერთმანეთს ჰგვანან _____-ით. თუმცა აღსანიშნავია განსხვავებაც. _____-საგან განსხვავებით, _____-ს არა აქვს _____. ხოლო _____-საგან განსხვავებით, _____- ს აქვს _____ .

3. _____-ის აღწერა/დახასიათება

ოდესმე გინახავთ ან გიფიქრიათ _____-ზე? _____-ს ძალიან საინტერესო გარეგნობა აქვს. ის _____ . მაგალითად, მას აქვს _____ , რომელიც _____ . მას აგრეთვე აქვს _____ და _____ . ყოველივე ამის გამოის ძალიან _____ გამოიყურება.

4. პერსონაჟის დახასიათება

ამ ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი არის _____ . იგი არის ძალიან _____ . მას სურს _____ , მაგრამ _____ , ამიტომ მან გადაწყვიტა _____ . საბოლოოდ, მან შეძლო _____ . თუმცა ამის მისაღწევად მას _____ .

5. აღწერა-დახასიათება (ცხოველის, საგნის)

ეს არის _____ . იგი არის _____ . _____ ბინადრობს _____ . გარეგნულად არის ძალიან _____ . იგი წააგავს _____ -ს. აქვს _____ და _____ . _____ იკვებება _____ -ით, მაგალითად, _____ -ით.

6. თანმიმდევრობა

სანამ _____ , ბევრი რამ მოხდა. ჯერ _____ , შემდეგ _____ , შემდეგ _____. სულ ბოლოს კი _____ .

7. ინსტრუქცია (სათამაშოს ან კოლაჟის აწყობა)

ფრთხილად გახსენით _____ , რომ შიგ ჩაწყობილი _____ არ დაზიანდეს. ყველა _____ სათითაოდ ამოალაგეთ და _____ დააწყვეთ. აწყობა დაიწყეთ _____ -ით, შემდეგ გაგრძელეთ _____ -ით. კარგად დააკვირდით _____ -ს, რომ ერთნაირი _____ ერთად არ მოხვდეს. რაც უფრო მრავალფეროვანი გამოგივათ _____ , მით უკეთესი _____ .

8. რეკლამა

გინდათ, გქონდეთ ისეთი _____ , როგორზეც ბევრჯერ გიოცნებიათ? მას შეუძლია

_____ , _____ და, თქვენ წარმოიდგინეთ, _ _____ ც! შეიძლება ეს _____ მოგეჩვენოთ, მაგრამ როცა _____ , თქვენ თვითონ დარწმუნდებით! თანაც, არც ისე _____! იჩქარეთ, რომ _____ !